სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. 2017 წელს მოხდა შენობა ნაგებობის გადაფასება.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულების განაწილებას მათ გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დასახელება

სასიცოცხლო ვადები

შენობა-ნაგებობა	20
სამედიცინო აპარატურა	5
სხვა	5-7

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

სამედიცინო მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება (გაეწერა პაციენტი) დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებისას, შემოსავალი ნაჩვენები უნდა იქნას დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა. არამატერიალური აქტივებისთვის, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალური აქტივები იცვითება იმ თარიღიდან, როცა გამოიყენება. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდის გადახედვა ხდება წლიურად და კორექტირდება შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალურის ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასისა და დამთავრების და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებსა და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებებზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობაზე ფასს 16-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ.

ეს შესწორება მოიჯარეს აძლევს შეღავათს, არჩევითი გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა ისე აწარმოონ, თითქოს ისინი არ წარმოადგენდეს იჯარის მოდიფიკაციას. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ საიჯარო ქირის დათმობებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როგორც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: იჯარის გადასახადების ცვლილებას შედეგად მოჰყვა იჯარის საზღაურის გადახედვა, რომელიც არსებითად იგივეა, ან ნაკლები, ვიდრე იჯარის საზღაური, რომელიც უშუალოდ ცვლილებამდე არსებობდა; იჯარის გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე; და იჯარის სხვა პირობებში არ ხორციელდება არსებითი ცვლილება.

კომპანიას არ გამოუყენებია აღნიშნული სტანდარტით დაშვებული საიჯარო ქირის დათმობები მეიჯარეებთან მიმდინარე წელს.

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებული სტანდარტები, თუმცა მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის საქმიანობაზე:

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- არსებობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ);

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა – ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოქვეყნდა 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 17 წარმოადგენს ფასს 4-ის ჩანაცვლებას, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება. ფასს 17 აგებულია ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის ხელთ არსებული სადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი

აღრიცხვის პრინციპზე. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული მიმდინარე ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის პლუს (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან მინუს ნიშნით (თუ მიღებული რიცხვი აქტივია); (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე გამოუმუშავებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვევო მომსახურება და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალიანი, ბიზნეს-სუბიექტი დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია სტანდარტის გამოყენებას აპირებს მის მიერ გაცემულ ვალდებულების შესრულების გარანტიებზე.

ფასს-17 არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით.

„დაფარვა“ განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთვებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამოწვევის არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ).

მოცემული ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მიწიშენება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დამატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის.

გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმო, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობითი ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემდგომ პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რა საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილი იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზნია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეფასებისათვის ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ

მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

ცვლილებებს არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სთვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ;
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს;
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას, სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება

სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები;

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 –სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- IBOR-ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა: ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR-ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვევებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც;
- ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე-2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება. რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული;
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე-2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR-ის რეფორმა;

IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – ფასს 16-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

2020 წლის მაისში გამოიცა ფასს 16-ის შესწორებები, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ მიზანშეწონილობებს მოიჯარეებისათვის, რათა შეეფასებინათ Covid19-თან დაკავშირებული იჯარის დათმობები, რამაც გამოიწვია 2021 წლის 30 ივნისისთვის/ივნისამდე გადასახდელი საიჯარო გადახდების შემცირება, არის თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ გააზიარებინა პრაქტიკული მიზანშეწონილობების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარიგებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,071	8,572
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	156,185	102,468
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	-	2,097
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	157,256	113,137

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მოთხოვნა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოდან	5,245,442	1,110,498
მოთხოვნები სადაზღვეოდან	53,988	2,580,922
გადახდილი ავანსები	15,756	1,205,344
რეფერალური პროგრამა	22,793	20,544
სხვა დებიტორული დავალიანება	245,211	161,201
სულ დებიტორული დავალიანება	5,583,190	5,078,509

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მედიკამენტების მარაგი განყოფილებაში	914,117	390,835
მარაგი განყოფილებებში	30,267	15,535
აფთიაქის საწყოები	182,752	4,446
საწვავი	1,190	2,409
პაციენტების კვება	197,499	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	101,049	-
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,426,874	413,225

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის ინვენტარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სხვა	სულ
ბალანსი 31.12.2018	61,285	13,699,235	4,913,083	569,821	352,524	16,015	680,715	20,292,678
შეძენა	-	-	250,631	56,957	1,192	-	18,647	327,427
ჩამოწერა	-	-	(179)	-	-	-	-	(179)
ბალანსი 31.12.2019	61,285	13,699,235	5,163,535	626,778	353,716	16,015	699,362	20,619,926
შეძენა	-	-	1,520,344	32,783	535	-	20,367	1,574,029
ჩამოწერა	-	-	(35,588)	-	-	-	-	(35,588)
ბალანსი 31.12.2020	61,285	13,699,235	6,648,291	659,561	354,251	16,015	719,728	22,158,367
ცვეთა								
ბალანსი 31.12.2018	-	(1,866,958)	(2,189,470)	(251,887)	(206,134)	(12,738)	(264,938)	(4,792,125)
ცვეთა	-	(596,678)	(473,743)	(68,263)	(32,025)	(745)	(65,853)	(1,237,308)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	-	(2,463,636)	(2,663,213)	(320,150)	(238,159)	(13,483)	(330,791)	(6,029,433)
ცვეთა	-	(562,033)	(543,456)	(53,048)	(23,552)	(596)	(49,693)	(1,232,379)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	-	(3,025,669)	(3,206,669)	(373,199)	(261,711)	(14,079)	(380,484)	(7,261,812)
ბალანსი 31.12.2018	61,285	11,832,277	2,723,613	317,934	146,390	3,277	415,777	15,500,553
ბალანსი 31.12.2019	61,285	11,235,599	2,500,322	306,628	115,558	2,532	368,570	14,590,492
ბალანსი 31.12.2020	61,285	10,673,566	3,441,622	286,363	92,540	1,936	339,244	14,896,555

9. სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები ძირითადად შედგება სადაზღვევო კომპანიების მიმართ არსებული მოთხოვნებისგან. სხვა მოთხოვნების ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,044,419 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 951,152 ლარს.

10. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანება შეადგენს 1,637,679 ლარს. ხოლო, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,995,421 ლარს.

კრედიტორული დავალიანება ძირითადად წარმოიქმნება ერთჯერადი მოხმარების საგნების, სახარჯი მასალებისა და მედიკამენტების შესყიდვის დროს.

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მიღებული სესხი ევროში	5,692,970	1,898,439
მიღებული სესხი დოლარში	-	1,402,019
მიღებული სესხი ლარში	148,346	939,606
გადასახდელი პროცენტები	19,730	20,751
ოვერდრაფტი	180,939	-
სულ მიღებული სესხები	6,041,985	4,260,815

კომპანიას სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული ჰქონდა 9 სესხი, რომლის საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა 7%-13%-მდე. სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხი 31.12.2019 წლისთვის შეადგენდა 4 031 719 ლარს. სესხი უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებით, ხოლო თავდები არის კომპანიის მშობელი საწარმო შპს „ჰიპოკრატე“. გარდა სს საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხებისა, კომპანიას მიღებული აქვს სესხი "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსგან და კომპანიის დირექტორისგან. სამინისტროსგან მიღებული სესხის მოცულობა 31.12.2019 მდგომარეობით შეადგენდა 148 346 ლარს, ხოლო ფიზიკური პირისგან მიღებული - 60 000 ლარს.

2020 წელს კომპანიამ განახორციელა სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხების რესტრუქტურირაცია და აიღო ახალი სესხი ისევ სს „საქართველოს ბანკი“-სგან. მოცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6%-ს, ხოლო მიღებული სესხი 31.12.2020 წლისთვის შეადგენს 1,415,000 ევროს. მოცემული სესხის აღების მიზანი იყო სხვა არსებული სესხების, საკრედიტო ხაზების და ოვერდრაფტის რეფინანსირება. სესხი უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებით, ხოლო თავდები არის კომპანიის მშობელი საწარმო შპს „ჰიპოკრატე“.

გარდა სს საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხისა, კომპანიას მიღებული აქვს სესხი "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსგან 148,346 ლარის ოდენობით.

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფიქსირდება სს „საქართველოს ბანკი“-სგან აღებული ოვერდრაფტი 180,939 ლარის ოდენობით.

12. გადასახდელი ხელფასები

გადასახდელი ხელფასები შედგება ადმინისტრაციაზე, შიდა განყოფილებებში მომუშავე პერსონალისა და ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტებზე გასაცემი ხელფასებისგან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასების თანხა შეადგენს 2,564,583 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,715,837 ლარს.

13. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ერთიანი საბაზინო კოდი	799,975	677,081
საპენსიო შენატანი	162,642	115,273
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(212,095)	(212,095)
სულ საგადასახადო ვალდებულება	750,522	580,259

14. სხვა ვალდებულება

სხვა ვალდებულება	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ვალდებულებები სხვა იურიდიულ კომპანიებთან	92,662	87,162
ვალდებულებები სადაზღვეო კომპანიებთან	73,831	82,930
პაციენტებისგან მიღებული ავანსები	26,320	58,000
სხვა დარიცხული ვალდებულებები	6,927	5,852
სულ სხვა ვალდებულება	199,740	233,944

15. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს საწარმოს დაფუძნების დოკუმენტაციებში კაპიტალის ნომინალურ თანხას. საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო გამოაცხადონ დივიდენდები და უფლებამოსილი იყვნენ კომპანიის დამფუძნებლების შეხვედრებზე პროცენტული წილის შესაბამისად. 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი არის 4,323,520 ლარი. 2020 წელს ცვლილებები არ ყოფილა. შესაბამისად საწესდებო კაპიტალი უცვლელი დარჩა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16. ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

2018 წლის 11 ნოემბერს კომპანიის მიმართვის საფუძველზე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა კომპანიის შენობა-ნაგებობების შეფასება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-ს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 12,516,313 ლარს. 2019 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიას შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულების შეფასება არ განუხორციელებია.

17. შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	2020	2019
რეანიმაცია	1,826,881	2,431,179
კარდიოლოგია	841,995	2,104,922
კარდიო-ქირურგია	548,064	1,243,123
ქირურგია	1,199,677	883,158
ნევროლოგია	510,586	853,891
ამბულატორიული დიაგნოსტიკა და სხვა	1,209,407	695,553
ყბა-სახე	322,010	584,192
ტრავმატოლოგია	120,126	536,287
ონკოქირურგია	329,959	527,452
კარდიორეანიმაცია	527,627	429,663
თერაპია	855,983	359,580
გადაუდებელი დახმარების სამსახური (ემერჯენსი)	310,848	349,551
ტოქსიკოლოგია.თერაპია	105,321	230,761
ნეიროქირურგია	100,956	187,523
გინეკოლოგია	45,325	85,918
ანგიოქირურგია	16,902	62,142
ტრანსფუზიოლოგია	-	58,240
ქიმიოთერაპია	157,915	11,760
ტრანსფუზიოლოგიის კაბინეტი	-	10,480

ანგიოლოგია	-	3,450
კოვიდ პროგრამა	4,448,442	-

სულ შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	13,478,023	11,648,826
---	-------------------	-------------------

18. მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი

მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	2020	2019
მედიკამენტების და სისხლის კომპონენტების დანახარჯი	2,500,661	2,735,378
ჟანგბადის დანახარჯი	46,549	1,260
სხვა სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	87,186	126,493
სულ მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	2,634,396	2,863,133

19. შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან

შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	2020	2019
შემოსავალი რეზიდენტურიდან	28,260	388,249
შემოსავალი სასწავლო პროცესიდან	501,083	26,700
სულ შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	529,343	414,949

20. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	2020	2019
შემოსავალი სამედიცინო-კვლევითი პროგრამიდან	105,003	97,190
სხვა შემოსავალი შპს რეფერალური დახმარების ცენტრისგან	-	72,093
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	41,868	97,197
სულ სხვა შემოსავლები	146,871	266,480

21. კომუნალური ხარჯები

კომუნალური ხარჯები	2020	2019
ელ. ენერგიის ხარჯი	249,711	239,980
ბუნებრივი გაზის ხარჯი	118,812	99,363
წყლის ხარჯი	76,353	80,845
კომუნიკაციის ხარჯი	31,136	38,267
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი	31,560	25,800
დასუფთავების ხარჯი	2,819	2,819
სადეზინფექციო მომსახურების ხარჯი	955	1,005
სულ კომუნალური ხარჯები	511,346	488,079

22. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
არასაოპერაციო ზარალი	96,444	111,424
საიჯარო ქირა	94,918	86,868
დაცვის მომსახურება	24,183	65,070
შ.პ.ს რეფერალური დახმარების ცენტრი	78,193	63,474

საკონსულტაციო ხარჯები	41,000	36,000
საერთო ხარჯები	45,085	35,318
საყოველთაოს ჯარიმა	3,262	21,079
ბანკის ხარჯი	69,436	18,181
კომპიუტერის ხარჯები	5,214	8,370
საწვავის ხარჯი	8,908	7,621
რეკლამის ხარჯები	1,404	7,008
ჩამოწერა მარაგის და ინვენტარის	8,550	6,974
დასაბეგრი ხარჯები	14,335	4,317
დაზღვევა	3,138	3,390
არასაოპერაციო ხარჯები	470	82,632
საფოსტო მომსახურება	1,382	1,817
ავტომანქანის შენახვის ხარჯი	2,503	921
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	28,758	675
წარმომადგენლობითი ხარჯი	717	450
მივლინების ხარჯი	-	-
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	29,022	320
სულ სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	556,922	561,908

23. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	2020	2019
მოგება საკურსო სხვაობიდან	194,799	32,461
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(1,076,183)	(155,682)
სულ კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(881,384)	(123,220)

24. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 28 მაისის N18476 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-ს (ს/ნ 202901832) საქმიანობის გასვლითი საგადასახდო შემოწმება. საგადასახდო შემოწმების პერიოდი განისაზღვრა 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე, მოგების და ქონების გადასახადების ნაწილში განისაზღვრა 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლების საანგარიშო პერიოდი.

თავდაპირველად, საგადასახდო აქტები და მის საფუძველზე გამოცემული საგადასახდო მოთხოვნები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში. საჩივარი, შემოსავლების სამსახურის ბრძანების თანახმად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საბოლოოდ, საგადასახდო აქტით გამოცემული საგადასახდო მოთხოვნები გასაჩივრდა ადმინისტრაციული სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში და 2017 წლის აგვისტოდან დღემდე მიმდინარეობს სასამართლო დავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და შემოსავლების სამსახურთან. სადავო თანხის ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,008,183 (ერთი მილიონ რვათას ას ოთხმოცდასამი) ლარს. სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად დაუბრუნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაზედაც ჯერ გადაწყვეტილება არა ჩაგვბარებია. ფინანსთა სამინისტროს 03/07/2020 წლის შედარების აქტით აღნიშნული დავალიანება შემცირდა 633,121.60 (ექვსას ოცდაცამეტი ათას ას ოცდაერთი და სამოცი თეთრი) ლარამდე.

25. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებით ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებები მიმართებით გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებით, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებული საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2020	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	157,256		-	157,256
სულ აქტივები	157,256	-	-	157,256
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	349,015	5,692,970	-	6,041,985
სულ ვალდებულებები	349,015	5,692,970	-	6,041,985
წმინდა საბალანსო პოზიცია	(191,759)	(5,692,970)	-	(5,884,729)
31.12.2019	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	111,040	1	2,095	113,137
სულ აქტივები	111,040	1	2,095	113,137
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	960,357	1,898,439	1,402,019	4,260,816
სულ ვალდებულებები	960,357	1,898,439	1,402,019	4,260,816
წმინდა საბალანსო პოზიცია	(849,317)	(1,898,438)	(1,399,924)	(4,147,679)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 5) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 და 2020 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ნაშთებისგან, რადგან იქ ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2020 -2019 წლებში მოცემულია ქვემოთ:

31.12.2020	1 თვემდე	1 – 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	157,256	-	-	-	157,256
დებიტორული დავალიანება	-	-	5,583,190	-	5,583,190
სხვა მოთხოვნები	-	-	951,152	-	951,152
სხვა აქტივები	-	-	57,232	-	57,232
სულ ფინანსური აქტივები	157,256	-	6,591,575	-	6,748,831
კრედიტორული დავალიანება	-	-	1,995,421	-	1,995,421
მიღებული სესხები	-	-	-	6,041,985	6,041,985
სხვა ვალდებულება	-	-	199,740	-	199,740
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	2,195,161	6,041,985	8,237,146
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	157,256	-	4,396,414	(6,041,985)	(1,488,314)

31.12.2019	1 თვემდე	1 – 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	113,137	-	-	-	113,137
დებიტორული დავალიანება	-	-	5,078,509	-	5,078,509
სხვა მოთხოვნები	-	-	1,044,419	-	1,044,419
სხვა აქტივები	-	-	55,663	-	55,663
სულ ფინანსური აქტივები	113,137	-	6,178,592	-	6,291,728
კრედიტორული დავალიანება	-	-	1,637,679	-	1,637,679
მიღებული სესხები	-	-	-	4,260,816	4,260,816
სხვა ვალდებულება	-	-	233,944	-	233,944
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,871,622	4,260,816	6,132,438
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	113,137	-	4,306,969	(4,260,816)	159,290

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის სისტემური გაუმართაობის, წარმოქმნილი ადამიანური შეცდომა, თაღლითობა ან გარე ფაქტორებისგან წარმოქმნილი რისკი. როდესაც კონტროლის სისტემები არ მუშაობას, საოპერაციო რისკებმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, ჰქონდეს სავალალო სამართლებრივი ან მარეგულირებელი შედეგები, ან გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. კომპანიას არ შეუძლია აღმოფხვრას ყველა საოპერაციო რისკის მაგრამ კონტროლის მექანიზმის დანერგვა, მონიტორინგი და პოტენციური რისკებზე რეაგირება შეიძლება იყოს რისკის მართვის ეფექტური მექანიზმები. კონტროლის მექანიზმი უნდა მოიცავდეს ეფექტური სეგრეგაციის, ავტორიზაციის, შესწორებების სისტემებს და ასევე პერსონალის დატრენინგებისა და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის პროცედურებს.

26. კაპიტალის მართვა

კომპანიას კაპიტალური მართვისთვის ფორმალური პოლიტიკა არ გააჩნია, მაგრამ მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის საქმიანობისა და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად.

კომპანია ახორციელებს თავის კაპიტალურ სტრუქტურას და ახდენს ცვლილებებს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან შესაცვლელად, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერთათვის დივიდენდის გადახდა ან აქციონერთათვის კაპიტალის დაბრუნება ან გაზარდოს საწესდებო კაპიტალი.

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით, გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ

	31.12.2020 საბალანსო ღირებულება	31.12.2020 სამართლიანი ღირებულება	31.12.2019 საბალანსო ღირებულება	31.12.2019 სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტი	157,256	157,256	38,599	38,599
დებიტორული დავალიანება	5,583,190	5,583,190	4,224,877	4,224,877
სხვა მოთხოვნები	951,152	951,152	738,042	738,042
კრედიტორული დავალიანება	1,995,421	1,995,421	1,662,747	1,662,747
მიღებული სესხები	6,041,985	6,041,985	3,233,845	3,233,845
სულ მენეჯმენტის ანაზღაურება	14,729,005	14,729,005	9,898,110	9,898,110

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდულებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	2020	2019
მენეჯმენტის ანაზღაურება	350,815	198,679
მენეჯმენტის სარგებელი	430,000	-
სულ	780,815	198,679

დედა კომპანიაზე გაცემული დივიდენდი და საწესდებო კაპიტალის ნაწილის გატანა

	2020	2019
გაცემული დივიდენდი	-	170,000
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	192,915
სულ	-	362,915

29. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკაზე, მაგრამ უარყოფითი გავლენა არ იქონია კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიამ მიიღო კოვიდ ცენტრის სტატუსი.

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

-2021 წლის განმავლობაში თითქმის სრულად დაიფარა გასული წლების სახელოფასო ვალდებულებები;

-ასევე დაიფარა კრედიტორული დავალიანების დიდი ნაწილი.

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის
მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო”
მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კომპანიის პროფილი და მუშაობის შედეგები	3
საქმიანობის მიმოხილვა	3
ორგანიზაციის სტრუქტურა	4
კომპანიის გასული პერიოდის შედეგები და სამომავლო გეგმები.....	5
კომპანიის გარემო	6
კონკურენციის შეზღუდულობა	6
თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი	6
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	7

კომპანიის პროფილი და მუშაობის შედეგები

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“ (შემდგომში „კლინიკა“/„კომპანია“), წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ს/ნ 202901832, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ლუბლიანას ქ. #33. კლინიკის წილის 100%-ის მფლობელს წარმოადგენს შპს „პიპოკრატე“ ს/ნ 404919406.

კლინიკის საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შემდგომი გადამზადება.

კომპანიის სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები შემდეგნაირად გამოიყურება:

- კარდიოლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- ქირურგიული (ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, კარდიოქირურგია, ტრავმატოლოგია, სისხლძარღვთა ქირურგია, ონკოქირურგია) პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- გინეკოლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- ნევროლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- თერაპიული პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- ტოქსიკოლოგიური მოწამვლის პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- ინტენსიური ზედამხედველობის საჭიროების მქონე პაციენტების მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე პაციენტების მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
- პაციენტთა დიაგნოსტიკიდან (კლინიკო-ბიოქიმიური და ინსტრუმენტარული კვლევები) მიღებული შემოსავლები;

სამედიცინო მომსახურება წარმოებს როგორც სტაციონარული, ასევე ამბულატორიული ფორმით.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ზომები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკაზე, თუმცა აღნიშნულ შეზღუდვებს კომპანიის საქმიანობაზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად კლინიკა კოვიდ პაციენტების მიმღები ცენტრი გახდა.

კლინიკაში 2020 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო 400-მდე ადამიანი. დასაქმებულთა შორის არიან:

- სხვადასხვა პროფილის ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის ნებართვით);
- საშუალო მედპერსონალი, ექთნები და ექთნის დამხმარეები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- უმცროსი ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- დამხმარე პერსონალი (ადმინისტრაციის თანამშრომლები, ტექნიკური პროფილის მქონე პერსონალი, სანიტრები და სხვა).

კომპანია ახორციელებს სხვა ტიპის ეკონომიკურ საქმიანობასაც, როგორიცაა ფართების იჯარით გაცემა და მედიკამენტების რეალიზაცია.


შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება კლინიკაში დამტკიცებული ტარიფებისა და სხვადასხვა დამფინანსებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კლინიკაში მოქმედი ტარიფები შედგენილია შიდა სამედიცინო სტანდარტების საფუძველზე გასაწევი ხარჯების შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება პაციენტის, სადაზღვევო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ.

შემოსავლების მხრივ მსხვილი დამფინანსებელია სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“, რომელიც შესრულებულ სამუშაოს კლინიკას უნაზღაურებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის

დადგენილების („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“) პირობების შესაბამისად, ამასთან კომპანია თანამშრომლობს კერძო სადაზღვევო კომპანიებთანაც.

კლინიკის ძირითად მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (რადიაციული უსაფრთხოების კუთხით).

ორგანიზაციის სტრუქტურა



კომპანიის გასული პერიოდის შედეგები და სამომავლო გეგმები

კლინიკის შემოსავლების დინამიკა მოცემულია ცხრილის სახით:

	2018 წ	2019 წ	2020 წ
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	13,743,787	11,648,826	13,478,023
საიჯარო შემოსავლები	43,597	46,047	47,937
შემოსავლები რეზიდენტურიდან	374,664	414,949	529,343
სხვა შემოსავლები	261,301	266,480	146,871
სულ შემოსავლები	14,423,349	12,376,302	14,202,174

2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია შემოსავლები იჯარიდან, მთლიანი შემოსავლები გაზრდილია 1,825,872 ლარით. ეს ზრდა ძირითადად მოხდა რეზიდენტურიდან და მედიკამენტების რეალიზაციიდან შემოსავლების ზრდით.

რაც შეეხება ხარჯებს, 2020 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (ინფლაციამ) 5,2% შეადგინა, ხოლო მედიკამენტებისა და სახარჯი მასალის ფასები გაზრდილია უფრო მეტად (10-12%-ის ფარგლებში), ასევე გაზრდილია კომუნალური გადასახდელები (მათ შორის, ემერაის შენახვის ხარჯები) და სესხების მომსახურების ხარჯები. ასევე, შემოსავლების შემცირებასთან ერთად, კლინიკას მძიმე ტვირთად დააწვა ფიქსირებული ხარჯები.

COVID-19-თან დაკავშირებული პანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა როგორც ქვეყნისთვის, ისე ბიზნესისთვის. აღნიშნულის გამო საჭირო გახდა სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება კომპანიამ ეფექტურად განახორციელა კორონავირუსის ინფექციის სწრაფი გავრცელების მართვა. მიუხედავად კრიზისული სიტუაციისა და ქვეყანაში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, კომპანია წარმატებით გაუმკლავდა COVID-19 პანდემიას.

ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება COVID-19-ით გამოწვეულ ვითარებას საქართველოში და მართავს საკუთარ ლიკვიდურობას და საოპერაციო საქმიანობას. კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

რა ღონისძიებები გატარდა 2020 წელს:

- განხორციელდა საბანკო სესხების რესტრუქტურირაცია;
- კლინიკის ყველა სამედიცინო პერსონალის სახელფასო სარგოს (მათ შორის, ფიქსირებული ხელფასი და მორიგების თანხები, რომელიც არაპირდაპირი ხარჯებიდან გაიცემოდა) დაანგარიშება და გაცემა ხორციელდება შესაბამისი განყოფილებების ფონდის პირდაპირი ხარჯიდან;
- სამედიცინო ჩარევებზე 2020 წლის 1 იანვრიდან მანამდე არსებული 60%-65%-იანი პირდაპირი ხარჯების წილი შემცირდა 55%-მდე (სამინისტროს რეკომენდაციით პირდაპირი ხარჯებიდან გაწეულ უნდა იქნეს ყველა სამედიცინო პერსონალის (გარდა სანიტრებისა) ხელფასის ხარჯი), ხოლო მოგების წილი 10%-დან გაიზარდა 15%-მდე (სამინისტროს რეკომენდაციით ამორტიზაცია მოგებიდან იანგარიშება);
- კოვიდინფიცირებულთა მკურნალობისთვის გაუქმდა განყოფილებები, სანიტარული წესების შესაბამისად, მოეწყო სართულები, მოხდა პალატების ჟანგბადით მომარაგება, ჟანგბადის მოწოდება კლინიკის ჟანგბადის ქარხნის გარდა ხორციელდება დამატებით მომწოდებლის ჟანგბადის ქარხნიდან და ბალონებით.

უმოკლეს ვადებში კლინიკა გეგმავს დამატებით შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

- ❖ დასრულდეს ემერაის აპარატის მონტაჟის/გაშვების სამუშაოები და დაიგეგმოს შესაბამისი სარეკლამო კამპანია, რათა ამ მხრივ გაწეული ხარჯი შემცირდეს და დამატებითი შემოსავლები მიიღოს კლინიკამ;
- ❖ განხორციელდეს ფიქსირებული ხარჯების შემცირება, მათ შორის სტრუქტურული რეორგანიზაციის საფუძველზე;
- ❖ გაარემონტოს საოპერაციო ბლოკის ოთახები;
- ❖ კლინიკაში დაწესებული კოვიდ რეგულაციების რეჟიმიდან კლინიკის ფუნქციონირების რეგულარულ რეჟიმზე გადასვლის გეგმის მომზადება.

კომპანიის გარემო

კონკურენციის შეზღუდულობა

მედიცინა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც არ არსებობს ერთგვაროვანი სახით. ჯანდაცვის სფეროში სამედიცინო მომსახურების თითოეული სახე არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს. სამედიცინო მომსახურების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ და რა პირობებში აწვდის მას. ერთიდაიგივე დაავადებას სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში განსხვავებული მეთოდებით მკურნალობენ. სხვადასხვა დაწესებულებების შესაძლებლობები (სადიაგნოზო მოწყობილობები, სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე). ავადმყოფს, რომელიც გეგმიურ ოპერაციას სამხარეო საავადმყოფოში იტარებს, შედარებით ნაკლები რისკი აქვს ვიდრე ავადმყოფს, რომელსაც გადაუდებელი ოპერაცია უტარდება რაიონულ საავადმყოფოში. შედეგად, სამედიცინო დაწესებულებები სამედიცინო დახმარების გარკვეულ სახეებზე გვევლინებიან როგორც მონოპოლისტები.

ჯანდაცვის სისტემაში შეზღუდული კონკურენციის მიზეზებია:

- ❖ სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია;
- ❖ სამედიცინო ბაზარზე კონკურენტთა მცირე რაოდენობაა;
- ❖ სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების მიწოდების იერარქიული სისტემაა;
- ❖ სამედიცინო მომსახურების მრავალ სახეს არ გააჩნია მისი შემცველი;
- ❖ სამედიცინო დახმარება არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს.

კონკურენტუნარიანი ბაზრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ბაზარზე თავისუფალი შესვლა. მყიდველებსა და გამყიდველებს ნებისმიერ დროს მინიმალური დანახარჯებით შეუძლიათ ბაზარში შესვლა და მისი დატოვება. სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია, რაც ამცირებს კონკურენტების რაოდენობას. სამედიცინო ბაზარზე შესვლის ბარიერს წარმოადგენს სახელმწიფო ლიცენზირება, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის რეგისტრაციისა და ლიცენზირების განსაკუთრებული წესები. ლიცენზირებას გამოიყენებენ დაბალი კვალიფიკაციის მიმწოდებლების სამედიცინო ბაზარზე შესვლის პრევენციის მიზნით. სამედიცინო პრაქტიკის უფლება აქვს მხოლოდ ექიმებს, რომელთა განათლების დონე პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს.

სამედიცინო ბაზარზე კონკურენციას ზღუდავს სამედიცინო დახმარების მიწოდების იერარქიული სისტემა. საავადმყოფოთა ქსელი აგებულია სტაციონარული დახმარების დონეებად დაყოფის პრინციპით, ანუ სტაციონარული ტიპის სამედიცინო დაწესებულებები დიფერენცირებულია დონეების მიხედვით, კერძოდ, ჰოსპიტალური მომსახურების შემდეგი დონეები არსებობს: დღის სტაციონარი, რაიონული საავადმყოფო, სამხარეო საავადმყოფო, სპეციალიზირებული საავადმყოფო, პროფილური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, კლინიკური საავადმყოფო. ჰოსპიტალურ შემთხვევათა შედარებით იოლი ფორმების კონცენტრირება ხდება რაიონულ საავადმყოფოებში, რომლებიც პაციენტის საცხოვრებელი ადგილის ახლოს არიან განთავსებულნი. უფრო რთული შემთხვევების მკურნალობა ხორციელდება სამხარეო და რესპუბლიკურ საავადმყოფოებში. აღნიშნული დონეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აღჭურვილობითა და პერსონალის კვალიფიკაციით. ცხადია, სტაციონარული სამედიცინო დახმარების ასეთი იერარქიული სისტემა და შესაბამისად დონეების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული საავადმყოფოების არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შორის რეალური კონკურენციის შესაძლებლობას.

თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი

ჩვეულებრივ, ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს ამა თუ იმ საქონლის ყიდვას. განსხვავებული მდგომარეობაა სამედიცინო ბაზარზე. სამედიცინო დახმარების გაწევა ადამიანის სიცოცხლესთანაა დაკავშირებული და იგი მომხმარებლის (პაციენტის) გადახდისუნარიანობაზე ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული.

რესურსების განაწილების საბაზრო მექანიზმის კორექციის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა უფრო მეტია მოსახლეობის ღარიბ ფენებში. სამედიცინო მომსახურებაზე დაბალშემოსავლიანი პირების გაზრდილი მოთხოვნილება განპირობებულია მათი არადაამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობის

მდგომარეობაზე. ასევე, ცნობილია, რომ მძიმე დაავადება და მკურნალობაზე გასაწევი ხარჯები მრავალი ადამიანის სიღარიბის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შეიძლება გახდეს.

ჯანდაცვაში თანაბარი ხელმისაწვდომობის მიღწევის მთავარ პრინციპს წარმოადგენს საზოგადოებრივი სოლიდარობა: მდიდარი იხდის ღირებულების, ჯანმრთელი – ავადმყოფისთვის ხოლო ახალგაზრდა – მოხუცისთვის. სოლიდარობის პრინციპის განხორციელებაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს.

აღნიშნული ფაქტორების აღმოსაფხვრელად ჯანდაცვის სისტემა სამართლიანობის და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული:

სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული პაციენტის გადახდისუნარიანობაზე;

მოსახლეობის ყველა ფენა თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის სტანდარტებით, მიუხედავად სოციალური, ეთნიკური, სქესობრივი და ასაკობრივი განსხვავებისა;

საჭიროა ჯანდაცვის სისტემის ძირითადი ფასეულობების, სამართლიანობის საკითხების იდენტიფიცირება, მის შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები შემდეგნაირად გამოიყურება:

კომპანია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. კომპანია ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაციასა და სხვადასხვა სერვისების რაოდენობის გაზრდაზე.

კომპანია ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება კომპანიის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ, კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ, გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში.

კომპანიაში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა კომპანიამ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. კომპანიის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში.

კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, კომპანიის განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედიკოსებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და კომპანია ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით.

დღეს არსებული წესის მიხედვით, სამედიცინო მომსახურებაზე ანაზღაურება წარმოებს დადგენილი ტარიფით ან ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს დაანგარიშებისას გამოიკვეთა არაპირდაპირი ხარჯის დაანგარიშების ხარვეზები, კერძოდ არის აზრთა სხვადასხვაობა თუ რა ტიპის ხარჯი უნდა შევიდეს არაპირდაპირ ხარჯებში. დღემდე არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც ცალსახად

განსაზღვრავს არაპირდაპირ ხარჯში შესაყვან კატეგორიებს, რაც იწვევს გაურკვევლობას მიღებულ ან მისაღებ შემოსავლებში.

ჩვეულებრივი ბაზრის ერთ-ერთი პირობაა მომხმარებლის გარკვეულობა. ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს თუ როდის, სად და რა ფასად იყიდოს საქონელი. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევებში, წინდაწინ არავინ იცის თუ როდის წარმოიშობა სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა და მიწოდება. მისი წარმოქმნა სავარაუდო ხასიათს ატარებს. მომხმარებლებისათვის გაურკვეველია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების საჭიროება დროის ნებისმიერ პერიოდში. მას არ შეუძლია რაციონალურად დაგეგმოს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლის მოცულობა შესაძლებელია მნიშვნელოვანს შეადგენდეს, მისი საჭიროების დადგომის დროს.

გაურკვეველობა ასევე შეინიშნება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხარესაც. პაციენტებს ექიმების რჩევის გარეშე არ შეუძლიათ განსაზღვრონ არც სამედიცინო მომსახურების საჭიროება და არც მათი მკურნალობის მოსალოდნელ შედეგებზე იციან რაიმე. ექიმებს არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ რა იქნება მათ მიერ ჩატარებული მკურნალობის შედეგი.

გარდა ამისა, რადგან სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება მესამე მხარის (სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო) მიერ და პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს, “ფასი” სულ უფრო გაურკვეველია და ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგებით მიღწეულ ფასს. სამედიცინო მომსახურების ფასი უფრო ნდობისა და სამედიცინო პერსონალის პროფესიული ქცევის უწყვეტ ურთიერთობებს ემყარება.

ამრიგად, გაურკვეველობა ჯანდაცვის სფეროს გამოკვეთილი მახასიათებელია, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შესაბამისად, ზრდის სახელმწიფოს როლს ჯანდაცვის სისტემის რეგულირების თვალსაზრისით.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

დავით ლომიძე

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის
მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“

თარიღი: 28 სექტემბერი 2021 წელი

*** ბოლო გვერდი ***

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
2020 წლის მმართველობის ანგარიშგება

განსაზღვრავს არაპირდაპირ ხარჯში შესაყვან კატეგორიებს, რაც იწვევს გაურკვეველობას მიღებულ ან მისაღებ შემოსავლებში.

ჩვეულებრივი ბაზრის ერთ-ერთი პირობაა მომხმარებლის გარკვეულობა. ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს თუ როდის, სად და რა ფასად იყიდოს საქონელი. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევებში, წინდაწინ არავინ იცის თუ როდის წარმოიშობა სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა და მიწოდება. მისი წარმოქმნა სავარაუდო ხასიათს ატარებს. მომხმარებლებისათვის გაურკვეველია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების საჭიროება დროის ნებისმიერ პერიოდში. მას არ შეუძლია რაციონალურად დაგეგმოს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლის მოცულობა შესაძლებელია მნიშვნელოვანს შეადგენდეს, მისი საჭიროების დადგომის დროს.

გაურკვეველობა ასევე შეიწინებდა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხარესაც. პაციენტებს ექიმების რჩევის გარეშე არ შეუძლიათ განსაზღვრონ არც სამედიცინო მომსახურების საჭიროება და არც მათი მკურნალობის მოსალოდნელ შედეგებზე იციან რაიმე. ექიმებს არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ რა იქნება მათ მიერ ჩატარებული მკურნალობის შედეგი.

გარდა ამისა, რადგან სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება მესამე მხარის (სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო) მიერ და პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს, “ფასი” სულ უფრო გაურკვეველია და ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგებით მიღწეულ ფასს. სამედიცინო მომსახურების ფასი უფრო ნდობისა და სამედიცინო პერსონალის პროფესიული ქცევის უწყვეტ ურთიერთობებს ემყარება.

ამრიგად, გაურკვეველობა ჯანდაცვის სფეროს გამოკვეთილი მახასიათებელია, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შესაბამისად, ზრდის სახელმწიფოს როლს ჯანდაცვის სისტემის რეგულირების თვალსაზრისით.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

დავით ლომიძე

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის
მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“

თარიღი: 28 სექტემბერი 2021 წელი

*** ბოლო გვერდი ***